

რაურ ხაჭიშია ვენესუელაში აპირებს ჩასვდას



ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი ვენესუელაში ჩასვდას აპირებს. რაურ ხაჭიშია კარაკასში 10-11 იანვარს ჩავა და ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს ინაუგურაციას დაესწრება.

„დაგეგმილია რაურ ხაჭიშიას მორაპარაკებები ნიკოლას მადუროსთან, რა დროსაც მხარეები ვენესუელა-აფხაზეთის ურთიერთობების პერსპექტივას განიხილავენ“, – ნათქვამია ოკუპირებული რეგიონის მედიის მიერ გავრცელებულ [ინფორმაციაში](#).

ნიკოლას მადუროს პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევას ვენესუელას პარლამენტის სპიკერმა არადეგიტიმური უწოდა, ქვეყნის მმართველობის პარლამენტისთვის გადაცემას მოითხოვს ოპოზიცია. ნიკოლას მადუროს პრეზიდენტად არჩევას არადეგიტიმურად მიიჩნევს ასევე აშშ-ი, ევროკავშირი და ლათინური ამერიკის ქვეყნების ნაწილი.